ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

2015 წლის 3 თებერვალი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, 31–ე მუხლის მე–5 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 თებერვლის 23-ე დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს (ბსუ–ს) ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2015 წლის 3 თებერვალს;
2. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
   ა) უმაღლესი განათლება;
   ბ) უსდ-ში მუშაობის 5 წლის სამუშაო სტაჟი;
   გ) სამოქმედო გეგმა.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №4), 2015 წლის 4 თებერვლიდან 2015 წლის 13 თებერვლის ჩათვლით, 10 სთ-დან 16 სთ-მდე;
4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) სამოქმედო გეგმა;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;
   დ) ავტობიოგრაფია (CV);
   ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლები;
   ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
5. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 17 თებერვალს. ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნებამდე ბსუ-ს აკადემიური საბჭო მოისმენს თითოეული კანდიდატის სამოქმედო გეგმას;
6. ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე;
7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**